F262/2 № 13030.
3
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

წელიწადი მეექვსე

ხუთშაბათი, იანვრის 1 1920 წ. № 1

პირველ იანვრიდან გამოდის
ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი
საქართველო

Библиотека при ЦК ВКП

1920 წ. (წელიწადი მეექვსე) 1920 წ.

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, აგრეთვე საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთში მონაწილეობენ ცნობილი პუბლიცისტები და მწერლები.

გაზეთს ჰყავს კორესპონდენტები ევროპაში და სპეციალი ტელეგრაფი კორესპონდენტები საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში, აგრეთვე ბათომში, აზერბაიჯანში, სომხეთში და ჩრდილო-კავკასიაში, რაც საშუალებას აძლევს მას მიაწოდოს მკითხველ საზოგადოებას ფართო ინფორმაცია, როგორც შინაური ცხოვრებისა, ისე უცხოეთის ვითარებისა.

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	ნახევარ წლით	სამი თვით
1000 მან.	600 მან.	300 მან.

მისამართი: თბილისი, დამფუძნებელი კრების (ყ. სასახლის) ქუჩა № 5. ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76.
დეპეშის მისამართი: თბილისი „საქართველო“.

1380

ინჟინერი სოფრომის ძე ვირაზაშვილი, თბ. ქალთა ძე-7 წმ. ნინოს გიმნაზიის დირექტორი ალექსანდრე და შტაბს კაპიტანი ვლადიმერ [illegible] ძენი წერეთლები, ნინო ფარნაოზ დუმბაძის ასული, მიხეილ, ალექსანდრა, თამარ, ნიკოლოზ, ელენე, ნინო, ნიკუშა და ოლღა წერეთლები, თალიკო და სოსიკო ვირაზაშვილები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ქ. თბილისში გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი ბაბუა (პაპა) მოძღვართ-მოძღვარი

დეკანოზი ნიკოლოზ წერეთელი

მიცვალებულს გაასვენებენ რკინის გზის სადგურზე სამშაბათს, ქრისტეშობისთვის 30-ს, საღამოს 4 საათზე. დაკრძალვა სოფ. ცხრუკვეთში პარასკევს, იანვრის 2-ს. 2670 3 3

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე გიორგი ნიჟარაძე, დედა [illegible], დები: თამარა, ელენე და ძმა სამსონ კვინიტაძე მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ მეგობართ და ნათესავებს რომ სამშაბათს ქრისტეშობისთვის 30-ს ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. თბილისში მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ქეთო გრიგოლის ასული ნიჟარაძისა

დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე პარასკევს იანვრის 2-ს ცხედარს გამოასვენებენ წირვის შემდეგ ქაშვეთის ეკლესიიდან. 2680 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მამამთილი გრიგოლი [illegible] დედამთილი ქეთევანი, რძალი ქსენია და მაზლი თეიმურაზი, მეუღლის ძმა [illegible] ნიჟარაძეები, მაზლი და სიძე მიხაკო საყვარელიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს რომ სამშაბათს ქრისტეშობისთვის 30—ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. თბილისში მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი.

ქეთო გრიგოლის ასული ნიჟარაძისა

დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე პარასკევს იანვრის 2-ს. ცხედარის გამოსვენება წირვის შემდეგ ქაშვეთის ეკლესიიდან.
(1—2680—1)

ღრმად დამწუხრებულნი და მარგალიტა და სიძე ბესარიონ თაყაიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს ქრისტეშობისთვის 30-ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქალ. თბილისში მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ქეთო გრიგოლის ასული ნიჟარაძისა

დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე პარასკევს იანვრის 2-ს. ცხედრის გამოსვენება წირვის შემდეგ ქაშვეთის ეკლესიიდან.
2681 1—1

ღრმად დამწუხრებულნი და მარო და სიძე კალენიკე საყვარელიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, ქრისტეშობისთვის 30 ს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. თბილისში მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ქეთო გრიგოლის ასული ნიჟარაძისა.

დაკრძალვა მოხდება წმ. ნინოს სასაფლაოზე პარასკევს, იანვრის 2-ს. ცხედრის გამოსვენება წირვის შემდეგ ქაშვეთის ეკლესიიდან.
(2681 1—1)

იტალიელ აქციონერთა საზო.
SAGO
გადოებ № 60.
ულოცავს თავის კლიენტებს
ახალ წელს
ადმინისტრატორ-დელეგატი გ. ზ. ოზანეზოვი.
უმთავრესი სამმართველო—რომში გენერალური განყოფილება—ბათუმში მარინის პროსპექტი 31. 2682 1—1

მოითხოვეთ ყველგან
უმაღლეს ხარისხის
კონიაკი და არაყი
ი. მ. ლაზარევის
თბილისი კიროჩ. ქ. № 19. 305—20—10

დღეს კინო თეატრებში

კინო-თეატრი ფილმა
ოლღას ქუჩა № 3.
მხატვრული კინო-ილლიუსტრაცია ა. დიუმას განთქმულ რომანით
„გრაფ მონტე-კრისტო“
„ძმ. მატეს“ ატელიეს გამოცემა. სერია „ფილმ დ' არ“.
ეპიზოდები 1 და 2 „ედმონდ დანტესი“ „მონტე-კრისტოს საუნჯე“.
დანტესის როლში ბ-ნი დ. მატო.
მუს. ილუსტრ. ნ. ზუდიაკოვისა. თეატრი თბობა.

აპოლლო
ახალი გრანდიოზული დადგმა! ისტორია კაცობრიობის შენიისა. იკარის ოცნებიდან დღევანდელ ტეხნიკის დღესასწაულებამდე
ჰაერის დამპყრობნი
(ადამიანი ცრემლი) დრამა 5 ლეგენდაში,
[illegible] აეროტორიებისა
ატლანტის ოკეანეზე გადაფრენა.
დასასრულ კომიკური.

კინო პალასი
ახალი დიდი სამხატვრო პროგრამა „ჩანგსის“ ატელიეს გამოცემა
შერისხული ბავშვების გამტაცებლები
ხუთნაწილიანი დრამა 4 ნაწ. დიდი ქალაქის ბანდიტების ცხოვრებიდან.
შესანიშნავი დადგმა. მომხიბვლელი ტრიუკი!
სიყვარული და შოკოლადი მხიარული კომ. 3 ნაწილად
ანონსი: ამ დღეებში ახალი შესანიშნავი დადგმა ლეონიდოვისა და დორეჰტინის მონაწილეობით

მინიონი
დ. ხარიტონოვის ატელიეს მხატვ. დადგმა
ოპიუმის რკალში
(იქ. რეინოლდელის თავგადასავალი)
დრამა 5 ნაწ. ხუდოლეევის, ობოლენსკის და ლაგუტინის მონაწილეობით
ა. უტკინის რეპროდუქცია
1919 წ. ქრისტეშობ. 31 ს
1920 წ. იანვრის 1, 2, 3-ს

მიხეილის
ალკრე
პლეხანოვის ქუჩა, 91.
მხოლოდ სამი დღე ქრისტეშობისთვის 29, 30, 31-ს
სიკვდილის ფრთებს ქვეშ
პრინც ალბერტ ფლორენტილის მემუარებიდან.
ტრაგედია 4 ნაწილად მარია იაკობინის მონაწილეობით.
დასასრულ კომიკური
ყოველ დღე სიმფონიური ორკესტრი.
დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

1077

მაღაზია ამხ. „დროშა“
(ყოფილი დარიუშოვის მოსამსახურეებისა)
მიხეილის ქ. სახ. № 83 კირკის გვერდზე ყოფილ დარიუშოვის მაღაზია.
დიდი არჩევა
თეთრეულისათვის. მადაპოლამი, ბერტისები, ბატისტები, ზეფირები ტიკ-ლასტიკი, ტვილსი, ტილოები და სხ.
ვაჟთა და ქალთა კოსტიუმებისთვის და პალტოებისთვის არის შევიოტები, პუშკო, ველიური და დრაპი.
ქალთა კოსტიუმებისათვის
მარკიზეტი, გაბარდინი, ბუმაზეა, შოტლანდკა და სხვა.
აბრეშუმი: მუსლინი და ტაფტა, დამზადებული ტონისაცმელი.
ასარჩევათ არის ბევრი ჩულქები, წინდები, სუფრები, პირსახოცები, საბნები, მატრაცები, ცხვირსახოცები, ზეწრები,
ფასები შეუვალ-ჩრებლად
მაღაზია ღიაა დილის 9—2 ს. საღამოს 4—7 ს. 2678 1—1

სახელმწიფო თ[eatრი]
ოპერა ეულახიშვილის ხელმძღ
სადღესასწაულ
ხუთშაბათს, იანვრის 1-ს
დილით
წითელი ქუდი
და ბალეტი
პარასკევს, იანვრის 2-ს
დილით
რუსალკა
შაბათს, იანვრის 3-ს
დილით
კატა წაღებში
და შობის ხე
საღამოთი
რიგო
კვირას, იანვრის 4-ს
დილით
ევგენი ონეგინი
საღამოთი
სევილ ელი დ
ორშაბათს, იანვრის 5-ს საღამოთი
აბესალომ და ეთერი
ხუთშაბათს, იანვრის 8-ს
დილით
ჰენზელ და გრეტელი
საღამოთი
პიკის ქალი
პარასკევს, იანვრის 9-ს
დილით
კარმენ
საღამოთი
ჰოფმანის ზღაპრები
შაბათს, იანვრის 10-ს, ოპერა მუშებისათვის.
„ჯამბაზები“ და ბალეტი
კვირას იანვრის 11-ს
დილით
ჰენზელ და გრეტელი
საღამოთი
დუბრ

ქართული აქციონერული საზოგ
„ოქრ ს ვე
გამგეობა
ამ თ აცხადებს და აუწყებს ამავე საზოგადოების აქციონერებს, რ
ვარს 1920 წ. დილის 11 საათზე, ქ. ფოთში, გამგეობის ბინაზე, (ძმ. ცეცხლაძეების სახლი, ლიბლინის და მიხეილის ქუჩების კუთხე) დანიშნულია ამ
ვე საზოგადოების საგანგებო კრება რომელზედაც გადაწყდება საკითხები:
1. ძირითადი თანხის გადიდება.
2. გამგეობის ფოთიდან სხვა ქალაქში გადატანა.
3. გამგეობის წევრების რიცხვის შეცვლა.
გამგეობა ამასთანავე აუწყებს აქციონერებს, რომ თუ რაოდენობით
გიმო კრება უნდა შესდგეს 10 თებერვალს, 1
ვე ბინაზე და იმავე მიზნით.

ქუთაისის სამაზრ
ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ორპირის ქუ
11 იანვარს 1920 წ. დილით კვირას საჯარო
ორი ულელი კამეჩი და
საჯარო ვაჭრობა დაიწყება დილით 12 საათზ
დაწვრილებით პირობების შეტყობა შ
ლით გაიგონ ქუთაისის სამაზრო გრობ

მოიკითხე
საუკეთესო ხარ
კონიაკ
ძმ. კაიშაურებისა
ყველგან!
მისამართი: ელისაბედის ქ., № 117, ტელ. 9 77.
312

იანვარში გამოვა ყოველთვიური ჟურნალი
„შვილდოსანი“
მონაწილეობენ: შალვა ამირეჯიბი, ა. არსენიშვილი, შ. აფხაიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლადო გუდიაშვილი, რ. გვეტაძე, ნიკოლაი ეგრეინოვი. პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა. შ. კამელი. ს. კლდიაშვილი, გ. ლეონიძე, ნ. ლორთქიფანიძე. ნინა მაყაშვილი, არჩილ მიქაძე, ნ. მიწიშვილი, კოლაუ ნადირაძე, გრიგოლ რობაქიძე, სერგეი სუდეიკინი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ი. ყიფიანი, სანდრო ცირეკიძე და ფელი ჯაფარიძე.

გამოვიდა და იყიდება
„მეოცნებე ნიამორები“
№ 3
რედაქტორი: ვალერიან გაფრინდაშვილი.

დიცი
(ნუვლით)
ლობრალდ ქორწილი
ეფე მეფერძალს მი
ლის კილიც და ახ
ეშურები დნენ. იგი
ძახლობლად მდგარ
ჰურმის ქვეზ. სტუ
ნიერ გუ
დარიც საუცხო
ქინის და ფ
პა სასიამოდ ეწვე
შესაქცევართა სურ
ელ ქუდან ეინმე
ა. უცნობი მოხდე
ცხენიდან, მდაბლად
ხა და ცხენს ბინა.
ვის მოელოდნენ,
ჩამვლელიც ხომ
ხ და მით უმეტეს
ქეა. უცნობიც ქ
ლა მის მისაპატი
რმოსდგა. შე
ხალ ართა შორის.
ოპერა მუს იყო უცნო
ი ანტუ
ად გა
ყო დე
საში
ჩემლ
ან
დიდა უცნობიც, შეუფ
იმავალი.
ს ცხადი იყო, რომ იგი
ნოტარიუსს, მის გვე
ლომის თვალი
ცახე ხმა
მოხდ
მის ქ
ისთხოვა.
შეეძლო, თუ
არ დაიჩინა.
დედოფლის და
ჰავსდა. ნოტარიუს
ჰგრძნობდა თავს.
ოდა.
ხის თავაზით ეპყრო
დედოფალმა აიყვა
კა და შეიფერ
ის დიდი პატივისცემ
მი. ეუზე მაინა
რთულ

ხიობის დღე

პარასკევს, იანვრის 2-ს 1920 წელს სრულიად საქართველოში

დღისით: ქუჩებში ივლის პროცესია, გაჰყიდის საგანგებოდ გამოცემულ გაზეთს „მსახიობის დღეს“.

საღამოთი: ყველა თეატრებში გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა-საღამოები.

თბილისში წარმოდგენილი იქნება:

რში: „ლალატი“—ა. სუმბათაშვილისა. მონაწილ. აბაშიძე ვას., აბაშიძე ტ., ანჯაფარიძე ვ., გამყრელიძე ვ., გუნია ვ., ზარდალიშვილი ი., მურუსიძე ა., სარჩიმელიძე გ., ციმაკურიძე ე., ცი[illegible]შვილი ნ., ჩერქეზიშვილი ვ., ჩხეიძე ნ., ქიაუ[illegible]ლი მ.

„სამზადისი“—უმიკაშვილისა და შარჟი ი. ქივიძისა საგანგებოდ ამ დღისთვის დაწერილი. მონაწილ. გოცირიძე ნ., დადიანი შ., კარგარეთელი ალ., ქივიძე ი., სარაული მ., როსტოვცევი, ლამბაშიძე შ., ყიფიანი კ., ჩარკვიანი დ., ციმაკურიძე ე., ჯიქია ვ.

ში: ქართული სამუსიკო საზოგადოების საოპერო სტუდია დასდგამს არაყიშვილის ოპერას „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ორკესტრი და ბალეტი სახელმწიფო თეატრისა.

4. მუშათა ცენტრალურ კლუბში „გამცემი“—ი. გედევანიშვილისა.
5. ნაძალადევის კლუბში: მოხსენება თეატრზე, პიესები—„ჯერ დაიხოცნენ და მერე დაქორწინდნენ“ და შარჟი.
6. ჩუღურეთის კლუბში: იგივე.
7. ვერის აუდიტორიაში: „სალამო წარმოდგენა“.
8. საბურთალოს თეატრში: „სიძე სიმამრი“.
9. ორთაჭალის კლუბში: „პატარა კახი“.
10. ერთობის უბანში: „და-ძმა“.
11. ავჭალის აუდიტორიაში: „სალამო წარმოდგენა მოხსენებით“.
12. ავლაბრის თეატრში: „წარმოდგენა მოხსენებით“.
13. სახელოსნო კლუბში: „პეპო“ და მოხსენება.
14. ნავთლუღის მუშათა კლუბში: „წარმოდგენა“-

ადგილების ფასი ყველგან მომატებულია.

ქუთაისში

დღისით: მოწყობილი იქნება დიდი პროცესია ქუჩებში.

საღამოთი: ქალაქის თეატრში გამართული იქნება საზეიმო წარმოდგენა საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

ასეთივე საზეიმო წარმოდგენა-საღამოები გამართული იქნება შემდეგ ადგილებში:

1. ფოთში
2. სოხუმში
3. გორში
4. ხაშურში
5. ჭიათურაში
6. შორაპანში
7. ბორჯომში
8. ზესტაფონში
9. სამტრედიაში
10. ახალ-სენაკში
11. ლანჩხუთში
12. ოზურგეთში
13. სიღნაღში
14. ახალციხეში
15. თელავში
16. დუშეთში

„მსახიობის დღის“ მომწყობი მთავარი კომიტეტი.

319 2—1

ო. გაფონია

ცხადების შემკრები აგენტი თბილისის და ამიერ-კავკასიის ყველა გაზეთებისთვის

თავის კლიენტებს ულოცავს

ახალ წელს

განცხადების მიღება შეღავათიან პირობებში

ოლღის ქუჩა, № 6. კანტორა „განათლება“ (ტელ. 3-44)

ან მინაზე სასამართლოს ბოლოში, არშაკუნოვის შუკა, საკუთარი სახლი.

1—1



ქიმერიონი

ქართველ მწერალთა კლუბი

(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა“)

ყოველ დღე საათის 1—5-დის

სადილი

რუმინიული ორკესტრი ცნობილ ანგელესკოს ხელმძღვანელობით.

სალამოს შეკრება 9 ნახ. ს. პროგრამის დაწყება 10 ნახ. ს.

კახური ღვინო

საუკეთესო ხარისხისა და შედარებით იაფ ფასებში

ბითუმად და წვრილად შეიძლება შეიძინა

[illegible] მევენახეთა [illegible] საზოგადოებისაგან

„ჭური ღვინო“

ტორა რუსთაველის (გოლოვინსკის პროსპ.) № 40.

ოლღის ქუჩა № 40.
დამფუძნებელ კრების (სასახლის) ქ. № 6.
ჩერქეზიშვილის და პავლოვსკის კუთხე № 109.

მიიღება ხელის მოწერა

920 წლისთვის

ურათებული საყმაწვილო ჟურნალი

კადული“

(წლიწადი მეთექვსმეტე)

[illegible] განათლების სამინისტროსაგან. [illegible] საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის

თა გამოვა: მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯერ.
„ მოზრდილთათვის „ ერთხელ.

იურად ორივე გამოცემის ფასი 150 მან.
ცალ-ცალკე . . . 85 „
ნახევარი წლით . . . 90 „

თბილისი „ნაკადულის“ რედაქცია, რუსთაველის (ყოფილი გოლოვინის) პროსპექტისა და დავითის ქუჩის კუთხე, შემოსავლელი დერეფნის 2 ტელეფონი № 7—56.

321 10—1

ახალი წლისთვის

[illegible] ახალი წელი საქართველოში, [illegible] შარშანდელთან მშვიდობიანობის ნიშნის ქვეშ მიდის.

შარშან ახალ წელს საქართველოს [illegible] ხანაიხის და სადახლოს ველზე შეხვდა და მთელი საქართველო ძარღვებ დაჭიმული ამ დღეს ომზე ფიქრობდა.

ქართულმა მხედრობამ ღირსეულათ მოიხადა თავისი ვალი, ერთხელ ზედ[illegible]ვით შეიმოსა მისი იარაღი და რომ ჩვენს მართველებს შეძლებოდათ [illegible]ულ ბრძოლის გამოყენება [illegible] იქნებოდა საქართველოს ისტორიაში.

ამ ომის გარდა სხვა ომი არც ყოფილა, დენიკინის იარაღის ჟღარუნი [illegible]ბით სისხლის დაუღვრელათ [illegible] ბოლშევიკების გამოსვლა [illegible]აში და სხვა პროვინციებ[illegible] შეედარეს იმ გამო[illegible] რომ ჰქონდათ ადგილი [illegible] სამეგრელოში.

[illegible] განმავლობაში ქართველი [illegible] შეეჩვია მშვიდ სამოქალაქო ცხოვრებას; ძველი დემაგოგიის [illegible] სოციალისტური [illegible]ზიები თანდათან ჰქრებიან—და მხოლოდ მართველ პარტიის დოქტრინიორობს და არ უნდა შეეხოს ხალხის ფსიქოლოგიას, თუმცა ყოველ დღე ატოვებინებს მათ ცრუ—სოციალისტურ პოზიციებს—და იხვევს იმ გზებისკენ რომელსაც აჩვენებს ეროვნული ოპოზიცია.

თუ დამოუკიდებლობა მენშევიკებისთვის მოულოდნელი ნაბიჯი იყო, რომელსაც მთელი თავის არსებობის დროს ებრძოდენ და დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ „პოგრომებს“ აწარმოებდენ ეროვნულ პარტიების წინააღმდეგ, მას შემდეგ რაც ხალხმა იგემა დამოუკიდებლობა, იგრძნო ეროვნული თავისუფლება და გამოიჩინა სახელმწიფოს შექმნის ნებისყოფა მენშევიკები იჩემებენ, რომ ყველაფერი ეს მათი საქმეა, და ჰქვე დავიწყებას მისცეს ლოზუნგი: დამოუკიდებლობა არ არის ჩვენთვის ფეტიში.

თუ ეროვნულ სახელმწიფოს შექმნის ნებისყოფა ქართველ ხალხში გაიზარდა ისეთი პროპორციით, როგორც ამდენხანს, მაშინ არავითარი ეჭვი არ არის იმაში, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მკვიდრ ნიადაგზე დადგება და რაც უნდა პარტიული შემადგენლობის არ იყოს მთავრობა ამას ანგარიშს გაუწევს და ჭკუაში ჩაჰხვდება.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ქართველი ხალხის ბუნებრივი ნიჭი სახელმწიფოს აშენებისა, ამ წელს უფრო გარკვევით გამოჩნდება.

შინაგან ცხოვრების მოწესრიგება თანდათან განამტკიცებს საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობას და აწევს პრესტიჟს, რაც გამოიწვევს ჩვენ დამოუკიდებლობის ცნობას.

ეს კი შექმნის ქართველ ხალხში დიდ სტიმულს ახალი სახელმწიფოებრივი მუშაობისთვის

წელს, მართალია, მშვიდობიანი წელი აპირობს დადგომას, მაგრამ სისხლის ღვარის საფრთხეზე უფრო საშინელი შიმშილობის საფრთხე, წლევანდელი მოუსავლიანობა ბადებს ამ შიშს და ათასჯერ მეტი გაჭირვებით, ვინემ წინათ უნდა იყოს გამოყენებული ყოველივე საშუალება, რაც თავიდან აგვაცილებს ამ საფრთხეს, და [illegible] კატასტროფას.

ყველაფერი ეს დამოკიდებულია იმ შეგნებაზე, რომელსაც გამოიჩენს ჩვენი ხალხი და ჩვენი მთავრობა.

* * *

„JE SOLE“ იტალიელთა ფინანსთა წრეების გაზეთი კავკასიის შესახებ

გაზეთი „სოლე“-ში დაბეჭდილია წერილი „კავკასია“-ს სათაურით.

„უცნაური მოხსენება კავკასიის ეკონომიურ საკითხების შესახებ, რომელიც გამოაქვეყნა ვაჭრობის სამინისტრომ—ამოწმებს რომ მიუხედავად იმისა, რომ კავკასია მდებარეობს ორ კონტინენტის შუა და ევროპიელთათვის გზა გახსნილია—ეს ქვეყანა მაინც იფარავს თავის მიწის ქვეშ ჯერ ხელშეუხებელ განძს.

რუსეთის იმპერიის ძალა-უფლებამ დიდი როლი ითამაშა ამ სიმდიდრის შენახვაში. მაშინ როდესაც მრეწველობის განვითარება უმაღლეს პაროქსიზმამდის იყო ასული; ზარმაცი „ვულკანი“ თავის სიმდიდრეს იმდენს ამუშავებდა, რამდენიც სჭირდებოდა.

იტალიელთა ინიციატივას და მის საქმიანობას ბევრი რამ შეუძლიან გააკეთოს კავკასიის სიმდიდრეთა დამუშავებისთვის. აუარებელი ტყეები, უთვალავი მინერალური წყლები, ნაყოფიერი მიწები, ძლიერნი წყალ-ჩანჩქერნი—ყველა ესენი ელიან მუშათა ხელს, დამუშავებას ეკონომიურად მოღონიერებას, წინსვლას და პროგრესს.

კავკასიის ხალხი ცნობილია როგორც გრძნობა განვითარებული ხალხი. და იტალიელთა თანამშრომლობა არ შეიძლება არ იყოს სასიამოვნო თვით უნდობელ ნაციონალისტებისათვის კი.

პირველად უნდა დაჭერილ იქმნას მათთან მტკიცე კავშირი ვაჭრობა-მრეწველობის დარგი განსავითარებლად. აქ რამე მრეწველობის წარმოება ომიანობის და უკანასკნელ პოლიტიკურ საქმეების გართულების გამო—სრულიად შესწყდა.

ამას გარდა, სხვა და სხვა სახელმწიფოებმა, რომელნიც დაარსდნენ რევოლუციის შემდეგ რამდენჯერმე გამოიცვალეს თავიანთი ფულის ნიშნები.

ამრიგად აქ ფულის ქაოსი არის, სადაც ტრიალებს ყოველი ძველი რეჟიმის ფული. დიდმა გასავალმა და ხარჯებმა ზოგიერთი სახელმწიფოები აიძულეს ბონების გამოშვება, რომელსაც მოჰყვა კურსის დაცემა. ამას მიუმატეთ სპეკულიაციაც და პოლიტიკურ მდგომარეობის მერყეობაც.

აქედან აშკარაა, თუ რად არი ძვირფასი საზღვარგარეთელი ფული.

იტალიელთა ლირას ფასი—გადიდდა. ამასთანვე ხელს უწყობს უგზოობაც, ომმა და რევოლუციამ დაშალა და გაანადგურა გზები.

ამის მიუხედავად კავკასიაში მრეწველობის განსავითარებლად მაინც ხელსაყრელი პირობებია (მანუფაქტურა, ზეთის ხილი, მანქანები და მოტორ-ავტომობილების მიწოდებით) ჩვენ შეგვიძლიან მივიღოთ მათგან (მარგანეცი, ნავთი, მატყლი, ბამბა, თამბაქო და სხვა).

უნდა ვიცოდეთ რომ ამგვარ კავკასია არის აუცილებელი გასავლელი გზა სპარსეთისკენ—რომლიდანაც შეიძლება დიდი კომერციული საქმეების დაჭერა“.

* * *

სომხეთ-აზერბაიჯანის უთანხმოება

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრის დეპეშა ბ. გ. გეგეჭკორთან.

საგარეო საქმეთა მინისტრმა გეგეჭკორმა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო:

„სომხეთის მთავრობამ ცნობები მიიღო რომ ორდუბატისა და ნახიჩევანის მუსულმანებმა, ხალილ-ბეისა და ხალილ-ფაშის ხელმძღვანელობით თავს დაესხნენ სომხეთის სოფ. მოხრანს. ს. აკულისი ალყა შემორტყმულია და საშინლათ ნადგურდება, მცხოვრებთ ყელები დასჭრეს. შეტევა გრძელდება. სომხეთის მთავრობას არ შეუძლია გულგრილად უცქიროს ნახიჩევანისა და ორდუბატის მაჰმადიანთა მიერ სომხეთისა და აზერბაიჯანის პრემიერთა შორის 23 გიორგობისთვის დადებულ ხელშეკრულების დარღვევას.

სომხეთის მთავრობამ მიმართა აზერბაიჯანის მთავრობას ბოლო მოუღოს ხსენებულ სისხლისღვრას, წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალ სისხლისღვრის პასუხისმგებლობა აზერბაიჯანის მთავრობაზე იქნება.

აზერბაიჯანის დიპლომატიური წარმომადგენლის ნოტა უმაღლეს კომისარს ჰასკელს

ქრისტეშობისთვის 30-ს საქართველოში მყოფ აზერბაიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელის მოადგილემ ბატ. ვექილოვმა ინახულა მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი ამიერ-კავკასიაში პოლკ. ჰასკელი, ჰქონდა მასთან ხანგრძლივი საუბარი მიმდინარე საკითხების შესახებ და დაბოლოს გადასცა მას შემდეგი შინაარსის ნოტა:

„ჩემგან მიღებულია ცნობები, სომხეთის ჯარის მიერ ერივნის გუბერნიის მაჰმადიანთა რამოდენიმე სოფლის აწიოკების შესახებ. აწიოკებულ სოფლებიდან თბილისისაკენ მოდიან ასობით ლტოლვილები.

საჭიროდ მიმაჩნია გაცნობოთ, რომ სომხეთის მთავრობის აგრესიული განწყობილებამ, იარაღით დაიმორჩილოს მაჰმადიანთა ის რაიონები, რომელთაც ნებით არა სურთ მათ მფარველობის ქვეშ შევიდნენ, მიაღწია აზერბაიჯანის ხალხის ფართე მასებამდე, უკანასკნელი აღელვებული სომხების სიმხეცით ითხოვს თავის მთავრობისაგან შესაფერი ზომები მიიღოს თავის ხალხის გადასარჩენად.

ჩვენის მხრით თქვენს მაღალ-კეთილშობილების ყურადღებას მივაქცევ იმას, რომ სომხეთის მთავრობის უკანასკნელი გამოსვლები, ისე როგორც ზანგეზურის მაჰმადიანებზე თავდასხმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა სომხეთ-აზერბაიჯანს შორის 23 გიორგობისთვის დადებულ ხელშეკრულობის შემდეგ, მძიმე შთაბეჭდილებას ახდენენ აზერბაიჯანის ხალხზე და წინდაწინ ნდობას უკარგავენ თბილისის მომავალ კონფერენციას.

ყოველივე უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, უმორჩილესად გთხოვთ მთელი თქვენი ავტორიტეტი გამოიყენოთ, რათა ბოლო მოუღოთ სომხეთის ჯარის მიერ მშვიდობიან მცხოვრებლების არა ადამიანურის გზით აწიოკებას“.

დღეს:

დამფუძნებელმა კრებამ ქრისტეშობისთვის 30-ს სხდომაზე აირჩია: სამხედრო მინისტრად გრიგოლ ლორთქიფანიძე და იუსტიციისად რაჟდენ არსენიძე.

პოლონურ გაზეთების ცნობით დენიკინსა და ანტანტას შორის ახალ უთანხმოებამ იჩინა თავი. მიზეზი უთანხმოებისა—ყუბანის მიერ პურის მიცემაზე უარია.

დასავლეთის ასპარეზზე პოლონეთის ჯარები მოქმედების დაწყებას აპირებენ.

პოლონეთის ჯარებმა კიევის მიდამოებში რამდენიმე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი დაიჭირეს.

იაპონიამ ადმირალ კოლჩაკს 30 მილიონ მანეთის მეორე სესხი გაუხსნა.

წერილები:

მეთაური—ახალი წლისთვის.
მესტუმრულე—ისკანდერ-მუნში.
რადიო-პორის ცნობები—გან-განი.
მანდილი—ბარბარე ერისთავი.
პაპის დეკრეტის მისია და ჩვენი საეკლესიო პოლიტიკა—ნიკ.

დამფუძნებელი კრება

ქრისტეშობისთვის 30-ის საღამოს სხდომა.

მთავრობის თავმჯდომარის ბ. ნ. ჟორდანიას განცხადება.

ახალი სამინისტროები.

ბ. ბ. ამას წინად ამ ტრიბუნიდან თქვენ გამოგიცხადეთ, რომ დაარსდა ახალი სამინისტრო. ესაა დღემდე ცალ-ცალკე არსებულ მომარაგების სამმართველოსა და შრომის სამინისტროს შეერთებული ერთი უწყება. ამას ჩვენ მოვუმატეთ ორი ახალი სამინისტრო: იუსტიციისა და სამხედრო.

სახელმწიფო და ვაჭრობა-მრეწველობა

მომარაგების სამმართველოსა და შრომის სამინისტროს შეერთების შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი: ყველას კარგად მოგეხსენებათ ის ეკონომიური კრიზისი, რომელიც დღეს ჩვენში არსებობს. კერძო პირები ვერ ახერხებენ და არც შეუძლიათ ამ მდგომარეობის ჩაყენება ნორმალურ კალაპოტში. ამიტომ მთავრობა იძულებული შეიქნა თვითონ ჩარეულიყო ალებ-მიცემობის საქმეში და ვაჭრობა-მრეწველობას გაძღოლოდა როგორც კერძო ვაჭარი. თანამედროვე მწვავე პირობები ვისმე პირადი სურვილით არ არის გამოწვეული, არამედ იმ ობიექტიური პირობებით რომლის გავლენაშიც ყველა ვიმყოფებით. საქმე ისაა, რომ არა თუ ჩვენისთანა პატარა სახელმწიფოებში, არამედ დიდ სახელმწიფოებშიც ჩამოვარდა ეკონომიური კრიზისი. ეკონომიური კრიზისი იმაში მდგომარეობს, რომ დღეს ჩვენში და სხვაგანაც მეტი იხარჯება, ვიდრე კეთდება.

მიზეზი ასეთი მდგომარეობისა უკანასკნელი მსოფლიო ომია. ომმა ისე გაანადგურა ყველაფერი, რომ ახალი საზოგადოებები ვეღარ ახერხებენ ძველი ეკონომიურ პირობების აღდგენას. ვინაიდან საქონელი მუშავდება ნაკლები ვინემ ეს საჭირო არის, კერძო პირები იძულებულნი არიან ასწიონ ფასი. ცხადია, ის საქონელი რომელიც ასეთს პირობებში კერძო პირიდან გამოდის სპეკულიაციის საგანი იქნება—და არც შეიძლება სხვანაირად იქნეს. კონკურენციის კანონის ძალით კერძო პირი იძულებულია სპეკულიაცია გასწიოს.

ასეთს ობიექტიურ მდგომარეობაში რომ დავსტოვოთ ხალხი, ის სპეკულიაციის მსხვერპლი გახდება. ამ საქმეში უნდა ჩაერიოს სახელმწიფო და აწეწილ-დაწეწილ ეკონომიური ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩააყენოს. ამ გზას დაადგა არა მარტო ჩვენი რესპუბლიკა, არამედ ისეთი სახელმწიფოები, რომელნიც მუდამ ვაჭრობა-მრეწველობის თავისუფლებას ქადაგებდენ.

აი, ბატონებო, ამ გარემოებით ვხელმძღვანელობდით ჩვენ, როდესაც, მომარაგების სამმართველო შრომის სამინისტროს შევუერთეთ. იყო სხვა მოსაზრებაც. მათ შორის ბევრი რამ არის საერთო. მშრომელი კლასი, უმთავრესად მომხმარებელი კლასია და სახელმწიფომაც პირველად ის უნდა იყოლიოს მხედველობაში. ის, რასაც იყიდის სახელმწიფო, ის უნდა დაურიგდეს მშრომელ კლასს და ამას იზამს შრომის სამინისტრო.

იუსტიციისა და სამხედრო სამინისტრო

ეხლა უნდა განვაცხადო, რომ მთავრობამ თავის წრეში შემოიყვანა ორი ახალი სამინისტრო.

იმ დროს, როდესაც ეს კაბინეტი სდგებოდა, ორი სამინისტრო ერთს პირს ჩავაბარეთ. ეს იყო შინაგანი და სამხედრო სამინისტრო. უნდა ითქვას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავისი მოვალეობა ჩინებულად შეასრულა. მის შემწეობით დღეს ჩვენ გვყავს ძლიერი მხედრობა. მისივე ენერგიული მეცადინეობით მჭიდრო კავშირი დამყარდა რეგულიარულ ჯარსა და გვარდიას შორის.

სამხედრო სამინისტროს შესახებ ჩვენ ვიმსჯელეთ და ამ თანამდებობაზე მოვიწვიეთ გრ. ლორთქიფანიძე. (ხმა. სამხედრო განათლებით არის?) უნდა მოგახსენოთ, სამხედრო მინისტრისათვის არ არის საჭირო რომ ის უთუოდ მხედარი იყოს.

რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს, მისი მდგომარეობა სენატის დაარსების შემდეგ უფრო გამარტივდა. საქმე ისაა, რომ ის რაც ძველ რუსეთში მოქმედებდა, ის კანონ

ნები დღეს ჩვენშიდაც მოქმედებენ, რაც ჩვენს მდგომარეობას სრულიად არ შეეფერება. ამ საქმეში ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ჩვენ მოვუწოდებთ ენერგიულ მუშაკს რ. არხვნაძეს.

მომავლის პერსპექტივები

როდესაც ჩვენ ეს დადგენილება გამოვიტანეთ, მხედველობაში გვქონდა მომავლის პერსპექტივები. ჩვენ გვინდა და ყველა თავის პოსტზე იდგეს. შემძლებში ამ ახალი სანგზე ჩრდილოეთიდან საზღვრამდე მოგვაწვნენ. თუ დენიკინი დამარცხდა, ბოლშევიკები ჩვენსკენ გამოემართებიან. ამიტომ ჩვენ დღესვე უნდა შევქმნათ მაგარი ფრონტი. მთავრობა ფიქრობს გააძლიეროს მართვა-გამგეობა, გვარდია, შინაური წესრიგი და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, როდესაც ეს გაკეთდება მაშინ ყოველგვარი საფრთხე აგვცილდება.

უცხოეთი

სომხეთი

სომხეთ აზერბაიჯანის შეტაკება ზანგიბაზარში

აზერბაიჯანის მისიასთან არსებულ საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა დეკემბრის 27 შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრს: „დღეს ცნობები მივიღეთ, რომ სომხეთის მთავრობამ დეკემბრის 21 სამხედრო მოქმედება დაიწყო ზანგიბაზარის რაიონის მაჰმადიანთა წინააღმდეგ. იმავე დღეს განადგურებულ და აკლებულ იქნა სოფ. კარგაბაზარი. დეკემბრის 22 იგივე ბედი ეწვია სოფ. სულეიმანლუს. ახლა ბრძოლა სწარმოებს ს. ს. ჩამანკენსა და კარაკიშლახში. თუ ეს ცნობები მართალია, ცხადია, სომხეთის მთავრობამ ამით დაარღვია ნოემბრის 23 სომხეთისა და ადერბაიჯანის შორის დადებული შეთანხმება. მსურს ვირწმუნო, რომ მაშინ, როდესაც ორი რესპუბლიკის კონფერენციამ უკვე დაიწყო მუშაობა ხსენებულ შეთანხმებისათვის ზურგის შექცევას სომხეთის მთავრობა არ დაუშვებს და არ შექმნის ნამდვილ დაბრკოლებებს ორი ხალხის შორის კეთილ და მტკიცე ურთიერთობის დასამყარებლად“.

რუსეთი

ბოლშევიკების სამხ. ცნობა

დეკ. 30. კარელიის ყელზე მზვერავთა შეტაკება სწარმოებს. ნარვის რაიონში სასტიკი ბრძოლაა. მტერი ქიმიურ ყუმბარებს უშენს ჩვენს პოზიციებს. შვიდ ვერსზე ქ. ნარვის დასავლეთით, ჩვენმა ჯარმა გადალახა მდ. ნაროვა, მაგრამ იძულებული გახდა უკან დაეხია და ისევ გადმოსულიყო მდინარის მარჯვენა ნაპირზე. წამოვიყვანეთ 100 ტყვე. დვინის რაიონში მტრის რაზმი გადმოვიდა მდ. დასავლეთ დვინაზე, მაგრამ ჩვენ კონტრიერიშით უკუ ვაგდეთ. ჩერნიგოვის რაიონში ჩვენი ჯარი იბრძვის ქალაქ ჩერკასის ირგვლივ. კრემენჩუგის რაიონში ჩვენმა ჯარმა აიღო სადგ. პავლიში. ეკატერინოსლავის რაიონში ჩვენი ჯარი მიადგა დნეპრს მდ. ვორსკლას შესართავთან, ვიდრე ქ. ეკატერინოსლავამდე. პავლოგრადისა და გრიშინოს რაიონში ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. ჩვენ ავიღეთ ქ. ბახმუტი და სამხრეთისაკენ წინ წავიწიეთ. მილლეროვის მიმართულებით ჩვენ ავიღეთ სადგური გლუბოკოე. ჩვენი ცხენოსანი რაზმი შეიჭრა კრივოროჟიეში, დაამარცხა მტრის ჯარი და ხელთ იგდო 4 ზარბაზანი და სხვა სურსათი. მდ. ჩირის რაიონში ჩვენი ჯარი იბრძვის ჩერნიშევსკაიას აღმოსავლეთით. უსტ-მედვედიცასა და მდ. ილოვლის შორის ჩვენი ჯარი მტერს სდევნის. ჩერნოგორიის რაიონში ჩვენი ჯარი წინსვლას განაგრძობს, ნოვო-ნიკოლაევსკის მიმართულებით ქალჩინის რკინის გზის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა აიღო ქ. ალექსანდროვსკი. რკინის გზა სავსეა მტრის მიერ დატოვებული სამხედრო ქონებით.

მდგომარეობა როსტოვში.

სარატოვი, დეკ. 28. ცარიცინიდან გამოქცეულის სიტყვით, იქ საშინელი სიძვირე, ეპიდემია, უმუშევრობა და შიმშილობა სუფევს. მტრის ჯარი გაიხრწნა. მთვრალი ოფიცრები ახდენენ რეკვიზიციას. ქალაქში 11 სახრჩობელა სდგას. პოზიციაზე ძველი ოფიცრები აღარ დარჩენილან. იმათი უდიდესი ნაწილი კავკასიისკენ გაიპარა. ქეითვე გარბის ცარიცინის ბურჟუაზია.

შეთანხმება დენიკინსა და ანტანტის შორის.

ვიტებსკი, დეკ. 27. პოლონურ გაზეთების ცნობით დენიკინსა და ანტანტის შორის ახალმა შეთანხმებამ იხილა თავი. მიზეზი შეთანხმებისა ყუბანის მიერ პურის მიცემაზე უარია.

საფრანგეთი

(საქ. დეპ. სააგ.)

პოლ. კოლინის მოხსენება

ფრანგმა სოციალისტმა პოლ. კოლინმა, რომელიც კავშირ „იკლარტეს“ უმთავრესი მოღვაწეა და რომელმაც მიზნად დაისახა ფრანგების და გერმანელების დაახლოვება, ბერლინში მოხსენება გააკეთა საზოგადოდ. მიზნების შესახებ: „ფოსიშე ცაიტუნგმა“ ადგილი დაუთმო მის წერილს, სადაც იგი „კლარტეს“ მიზნებზე ლაპარაკობს. წინასიტყვაობაში გაზეთი ამბობს, რომ კოლინის მიზნებს უმთავრესში ვეთანხმებით, დეტალებში კი არაო. კოლინი კლემანსოს უცქერის, როგორც გერმანიის რეაქციის უმთავრეს მიზეზს, გერმანიის იმპერიალიზმში, ეს საფრანგეთის რეაქციის ნაყოფი არისო. ერთი მხარე მიზეზია მეორე მხარის მოქმედებისაო. ყველა, ვინც თავის მთავრობას ებრძვის იგი მთელი ევროპისათვის შრომობსო. დამოუკიდებელ ხაზის მოსურნე, ანტიმილიტარისტ-სოციალისტებსა და დემოკრატებს არა სურთ სისხლის ღვრა, არა, მათ სურთ ნამდვილი რევოლუცია მოახდინონ ორივე ერის შემეცნებაშიო. გერმანიის სულის განთავისუფლების საშუალება ყველა თავისუფალ მოქალაქის საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ დემოკრატიულ შეერთებაშია მდგომარეობსო. ამიტომ კი საჭიროა ორივე ქვეყნის შორის ხანგრძლივი დამოკიდებულება იმ მიზნით, რომ პარალელურად იმუშაონ იარაღით ხელში ორივე ქვეყნის რეაქციის დასამხობად.

გერმანია

რესტავრაციული განზრახვანი

გაზეთ „პოსტ“-ის სიტყვით კათოლიკურ პარტიის მიერ ბავარიის პრეზიდენტის კანდიდატურაზე წამოყენებულია ბავარიელი პრინცი რუპრეხტი.

ფონ-დერ-ჰოლცი რუსეთის შესახებ.

„ტანი“ მოკლეთ გადმოგვცემს გენერალ ფონ-დერ-ჰოლცის წერილის აზრს რომელიც მოთავსებულ ყოფილა კონსერვატორთა გაზეთ „დოიტშე ტაგესცეიტუნგ“-ში. წერილი კოლჩაკ-დენიკინის სიმპატიური განწყობილებით არის დაწერილი სადაც გენერალი აღნიშნავს რომ ბოლშევიკების ძალის დაქსაქსვა მეტად ადვილია, რომ დენიკინს კარგად ხელს უწყობდეს ინგლისი. ინგლისი ძალიან ცდილობს ბალტიის მხარეზე თავის დიდ გავლენის მოპოვებას.

გაზ. „ტანი“ გენერალ ფონ-დერ-ჰოლცის წერილს დასკვნას უკეთებს და ამბობს, რომ ფონ-დერ-ჰოლცს ნება არც კი აქვს ამაზე ლაპარაკისა. მას 1918 წელს უნდოდა გერმანიის პრინცი ფინლიანდიის ტახტზე აეყვანა 1919 წელს კი სურდა გერმანეთის კოლონიის დაარსება ლიფლიანდიას და კურლანდიაში. ამ რიგად როდესაც ფონ დერ-ჰოლცი გამოდის რუსეთის დამცველად ეს ადვილი ასახსნელია. აგრეთვე არა ნაკლებ შთაბეჭდილებას მოახდენ მისი პროპაგანდული იდეები, როდესაც გაიგებენ, რომ ოგრედის მოლაპარაკებაც ჰქონია ლიტვინოვთან პოლიტიკურ საკითხების შესახებ.

ბალკანეთი

ბულგარეთი და საბერძნეთი

ბულგარეთის პრემიერ-მინისტრმა სტამბულისკიმ მიჰმართა ვენიზელოსს წერილით, რომელშიაც სტამბულისკი გამოსთქვამს სურვილს ბულგარეთსა და საბერძნეთს შორის კეთილ-მეზობლურ ურთიერთობის დამყარების შესახებ. ამ მიზნის მისაღწევად, ზოგიერთ ავტორიტეტულ წყაროების გადმოცემით, სტამბულისკი საჭიროდ სთვლის საბერძნეთის—მხრივ ფრაკიის საკითხში დათმობას. ვენიზელოს სტამბულისკის წერილი არ დაუტოვებია უპასუხოდ, მაგრამ წერილის შინაარსი არვინ არ იცის. ეს კი ცხადია, რომ სტამბულისკისა და ვენიზელოსს შორის შეხვედრა შეუძლებელია.

ახალი ამბები

გაზ. „საქართველოს“ გამომცემელი კომიტეტისაგან

[illegible] იანვრიდან გაზ. „საქართველოს“ გამომცემლობა იკისრა, თანახმად თბილისის ვაჭარ-მრეწველთა დადგენილებისა, საგანგებოთ არჩეულმა კომიტეტმა.

კომიტეტი სთხოვს თბილისისა და სხვა ქალაქების ვაჭარ-მრეწველთ განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ თავიანთ ორგანოს, გამოიწერონ წლით გაზ. „საქართველო“ და ყოველ შემთხვევაში ხელი შეუწყონ არა მარტო ამ [illegible]. ხელის მოწერა მიიღება: გაზეთის კანტორაში (დამფუძნებელი კრების ქ. № 5.) ქართულ კლუბში ნიკოლოზ წერეთელთან, სამეურნეო ბანკში პ. გოთუასთან, ამიერ კავკასიის ბანკში ი. ლორთქიფანიძესთან, პუშკინის ქუჩაზე ალექსანდრე ძაგნიძესთან, შუა ბაზარში იასებ გველესიანთან, რკინის გზის სადგურის რაიონში სეხნიაშვილების ქარხანაში—დავით კალანდაძესთან, მეორე ქართულ კლუბში დიმ. დუმბაძესთან, პლეხანოვის ქუჩაზე სასტუმრო „ნოე“-ში ნოე ხახუტაიშვილთან და მირზოევის ქუჩაზე ს. მენთეშაშვილთან.

თბილისის ვაჭ.-მრეწ. კომიტეტი.

მთავრობაში

მილოცვა ახალ წლისა.

დღეს იანვრის 1-ს საქართველოს მთავრობა ახალ წლის მილოცვებს მიიღებს 1 საათზე საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობაში.

ქართველ სომეხთა ომის წლის თავი.

გუშინ ნაშუადღევის 1 საათზე სამხედრო ტაძარში [illegible] საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ ლეონიდეს მიერ გადახდილ იქმნა პანაშვიდი ქართველ სომეხთა ომის დროს გმირულად დაღუპულ მამულიშვილთა სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო სამხედრო მინისტრი ნ. რამიშვილი, მისი ამხ. გენ. გედევანიშვილი სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელნი და აუარებელი ხალხი. პანაშვიდზე სიტყვა წარმოსთქვა კათალიკოს პატრიარქმა ლეონიდმა. პანაშვიდის გადახდის შემდეგ სამხედრო მინისტრი გამობრძანდა ტაძრიდან და თავშეყრილი ქართულ ლაშქრის ნაწილებს მიმართა სიტყვით და შემოიარა ცალკ-ცალკე დაბანაკებული გუნდები ყველა ნაწილისა. ამის შემდეგ მთელმა ლაშქარმა ცერემონიალურ მარშით გაიარა სამხედრო მინისტრის წინ პარადს ხელმძღვანელობდა გენ. ი. გედევანიშვილი პარადი ნაშუადღევს 1 ნახ, საათზე დამთავრდა.

სახელმწიფო ქონების გატაცება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობებენ, რომ ნეიტრალურ ზონაში სანაინის რაიონში გახშირდა სახელმწიფო რკინის გზის მასალების მოპარვა. სამინისტრომ შეკითხვა გაუგზავნა ამის შესახებ ნეიტრალურ ზონის კომისარს.

იუსტიციის სამინისტროში.

სამხედრო საგანგებო სასამართლო სამტრედიაში.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორი დეპეშით აცნობებს იუსტიციის მინისტრს, რომ სამტრედიაში პალატის პროკურორის წინადადებით, დაარსდა სამხედრო საგანგებო სასამართლო.

თავდასხმა.

ქუთაისის ოლქის სასამართლოს პროკურორმა დეპეშით აცნობა იუსტიციის მინისტრს, რომ ქრისტეშობისთვის 17-ს ღამით ს. ხრესილში მოვაჭრე კაკულია აკოფოვს თავს დაესხნენ ავაზაკები, რომლებმაც გაძარცვის შემდეგ ყუმბარებით და რევოლვერებით მძიმედ დასჭრეს აკოფოვი. ავაზაკთა შესაპყრობლად სასტიკი ზომებია მიღებული კვლევა ძიება სწარმოებს.

სხვა და სხვა ამბები

1897 წლებში დაბადებულნი.

სამხედრო სამინისტროს განზრახული აქვს ამა წლის იანვარში დაითხოვოს სამხედრო სამსახურიდან ყველა დაბადებულნი 1897 წელში, რომელთაც უკვე შესრულებული აქვთ დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წლის 31 ივლისს გამოცემულ „სამხედრო ბეგრისა და შეიარაღებულ ძალთა შევსების“ კანონში აღნიშნული ნამდვილი სამსახურის ვადა.

სამხედრო მინისტრმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე დაინიშნოს სენატორის რევიზია გამოსარკვევად იმისა, თუ რომელნი და როგორი ხარისხით არიან შესრულებულნი რესპუბლიკის სამხედრო, სამოქალაქო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებით მიერ ჯარის შევსება-შენახვის შესახებ და დეზერტირობის წინააღმდეგ მთავრობის მიერ უკვე გამოცემული ყველა ბრძანება-განკარგულებანი.

ფოთი.

ქალაქის თვითმმართველობის სასურსათო განყოფილებამ უკვე შეუდგა შრომის სამინისტროს მუშათა სასადილოს მიერ გადაცემულ თევზის მუშა-მოსამსახურეთა შორის განაწილებას. თითო კაცს აძლევენ ორ გირვანქას.

გამომცემელი საზოგადოება.

თბილისში დაარსდა ქართულ წიგნების გამომცემელი საზოგადოება „მ. ეგრიკაშვილი და ამხანაგობა“. 1 ნახ. მილ. მანეთის ძირითადი კაპიტალით, რომელსაც მიზნად აქვს გამოსცეს ხოლმე მწერალთა ნაწერები, ამ დღეებში გამოვა ი. თუმანიანის ნაწერები.

სამხატვრო ქრონიკა

„ჯეჯილის“ დილა. კვირას, იანვრის 11-ს სახელმწიფო თეატრში იმართება საბავშვო-ლიტერატურული დილა საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილი“-ს 30 წლის იუბილეს აღსანიშნავად. იგ. გამართული იქნება სიტყვა, დასდგამენ გ. ჭუნიას „მზეთუნახავს“ ბოლოს: ლექსები და ბალეტი. ბილეთები იყიდება „ჯეჯილი“-ს რედაქციაში არტილერიის ქ. № 5.

ოსკ. უაილდის „De profundis“ ინგლისურიდან თარგმნილი გ. ჩერქეზიშვილის მიერ, გამოვიდა.

ქართული საოპერო სეზონი.

— იანვრის 2-ს სახალხო თეატრში წარმოდგენილი იქნება ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“, მუსიკა დ. არაყიშვილისა, ქართ. სამუსიკო საზ. და საქ. ცენტრ. კოოპერატივთა საოპერო სტუდიის მიერ.

მსახიობის დღე

— წიგნ-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ 1000 მან. შესწირა „მსახიობის დღეს“ ხარჯების დასაფარად.

— გვარდიის შტაბმა ერთი ავტომობილი და ოთხი ცხენი დაუთმო „მსახიობის დღის“ პროცესიის მოსაწყობათ.

— იანვრის ორს ყველა უმთავრეს ქუჩებში მსახიობთა კარნავალი გაივლის.

— „მსახიობის დღის“ დღესასწაული გრანდიოზულ სახეს იღებს. ყველა თეატრალურ დაბა-ქალაქებიდან იტყობინებიან, რომ ყველგან გაიმართება საღამო-წარმოდგენები.

— ოფიცერთა ეკონომიურმა საზოგადოებამ „მსახიობის დღის“-თვის გადასცა 1000 მან.

თეატრი.

დღეს:

სახელმწიფო თეატრი: დილით: „წითელი ქუდი“ და ბალეტი. საღამოთი „აიდა“.

„ტარტი“-ს დარბაზში დილით „ტყე“.

ახალი დიდი ბანკი

საქართველოს რესპუბლიკის საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების კრებების დადგენილების თანახმად თბილისში არსდება ახალი ბანკი, რომელსაც ეწოდება სახელწოდება „ცენტრო-ბანკი“—„ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკი“. ამ ბანკის დაარსებაში მონაწილეობას ღებულობენ: საქართველოს რესპუბლიკის საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების კრებების საბჭო და თბილისის მსხვილი ვაჭარ-მრეწველნი. აქცია 1000 მან. ღირს; ერთს ხმას 25 აქცია აძლევს.

მხედველობაში იმისა, რომ წინასწარ ხელის მოწერის მიხედვით შესაძლო იყო 30.000.000 მანეთიან ძირითად თანხის შეგროვება, წესდების მიხედვით ძირითადი თანხა 20.000.000 მანეთით განისაზღვრება.

საყოველთაო ხელისმოწერა დანიშნულია 15—20 იანვარს თბილისში: სასოფლო-სამეურნეოსა, ამიერ-კავკასიისა და ევროპიულ-კავკასიის ბანკებში; პროვინციებში: საურთიერთო ნდობის საზოგადოებებში და იმ საკრედიტო და შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობებში, რომლებიც ბანკების საბჭოში შედიან, ბანკისთვის შენობა უკვე დაქირავებულია და ამ ჟამად სწარმოებს სათანადო სამზადისო მუშაობა.

იმ საკითხების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ახალი ბანკის გახსნასთან შეიძლება მიემართოს საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების კრებების საბჭოს თავმჯდომარეს მ. ა. გოთუას (სასოფლო სამეურნეო ბანკი) და კრებების საბჭოს მდივანს კ. მხეიძეს (ამიერ-კავკასიის ბანკი).

პატარა ფელეტონი

მესტვირული

შაირ-ლექსით მოგილოცავს,
მკითხველო, ახალ წელი.
იმ ოხერმა ძველმა წელმა
შიმშილით მომწყვიტა წელი.
ლუკმა პური დამანატრა.
რუსეთიდგან ფქვილსა ველი.
რუსეთსაც ღმერთი გაუწყრა:
სულ გაირია მინდორ-ველი,
ბოლშევიკი დათარეშობს,
ვით მშიერი ტურა-მგელი.
საქართველოს ემუქრება
დენიკინი მორიელი.
დენიკინს თვალი დაუდგა...
დაგვესხმის უცხოელი.
ჯერ ლემენცი შემოვიდა,
იმას მოჰყვა ინგლისელი.
გამიკვირდა: არ მენანა.
კაბაში შოტლანდიელი.
ევროპაში გავამგზავრეთ
ჩხეიძე და წერეთელი
ვილოდებით, არ დაბრუნდა.
ჩვენი აკაკი ჩხენკელი.
ბევრი სტუმარი გვესტუმრა,
ყველას გავუღეთ კარია.
ქართველი კაცის სიუხვე
არავისთან დასადარია.
მასპინძლებათ ვივარგებდით,
რომ არ ძვირობდეს პურია...
ვაიმე, ეს რა დრო დაგვიდგა:
დამენატრა კახურია.
არაყიც ხომ გაგვიძვირდა
უვარგისი და თბილია.
მეტი ღალაჯი არ იყოს!
სმაზე ფული ხელ ია.
რით მივილოცოთ კალანდა?
გოზინაყით ძნელია.
გოზინაყსა ვილა სჩივის?
შაქარი გამომშრალია.
მშიერ მშიერ დავწანწალებ,
ბოლმისა ვარ დამთვრალია.
ეს რა ოხერი დრო არის?
კრანში არ მოდის წყალია.
ცარიელ აზარფეშით
მოგილოცავთ ახალ წელსა.
აზარფეშასაც გავყიდი:
დავთვრები დღევანდელ დღესა.
ვადღეგრძელებ ჟორდანიას.
მას არ ედება ბრალია,
ჩვენი ერი რომ მშიერია,
ღარიბი და საწყალია.
რამიშვილსაც გაუმარჯოს
ბოლშევიკების მტერია.
ყველა მხარეზედ დასცა,
ვისაც ეცა, მოერია.
ადღეგრძელოს მინისტრები,
კიდევ დამრჩა ერთი ორი.
მთელ ევროპას შეებრძოლა
ამხანაგი გეგეჭკორი
მიწა-წყალი გაასწორა.
არც დავაა, აღარც ხრიკი.
გლეხ-თავადი მიარიგა
ადღეგრძელოს ხომერიკი.
ერთს მინისტრსაც მიულოცავ,
მშრომელია ის ყველაზე
შრომის და უქმე დღეების
მომწესრიგებელი ერაძე.
იტალიას გაემგზავრა
(არ გეგონოთ მხატვარია)
მინისტრისა ამხანაგი
კოწია საბახტარია.
გვპირდება, რომ საქართველოს
მალე იცნობს იტალია.
ალაჰმა უწყის, კოწია
გვატყუებს, თუ მართალია.
ახალმა წელმა გვაჩუქა
ქართველ მწერალთა კლუბია.
რა გინდა, სული და გული,
არაყი, ღვინო, ლუდია?
კლუბის დარბაზსა განაგებს
ცნობილი მაჩაბელია.
ხშირად ვივლიდი მაგრამ რაღა ვქნა
ფულები გამომელია.
„ქიმერიონში“ დადიან
მწერალი მეშველიშვილი.
ყველა ვახშამზე თამადობს
თვით ბენია ჩხიკვიშვილი
მასაც ულოცავს ახალ წელს
ჩვენი ქალაქის თავი.
[illegible] მოხელეებისთვის
ბლომად აიღოს ვალია.
მკითხველო, უკაცრავად ვარ:
შაირი გამომშრალია.
ან რაღა მეშაირება?
ჯიბე შემრჩენა თხელია.
უქანქაროთა შაირი
ხომ მეტის მეტათ ძნელია.
გამომცემელო გვაკმარე
ბარაქა—ჯიბეს ხელია...
ან მომიღე აბაზი,
ან უსადღეგრძელო ჭრელია.

ისკანდერ მუნჯი.

ფრ. მერიმე.

ბანდი[illegible]

(ფრანგულიდან)

ანდუჯარის მახლობლად ქორწილი იყო. სტუმრებმა მეფე პატარძალს მიულოცეს, დღეგრძელის კიდეც და ახლა სუფრისკენ იშურებოდნენ. იგი გაშლილი სახლის მახლობლად მდგარ მოზრდილ ინდიისწრამის ქვეშ. სტუმარ მასპინძელნი [illegible] გუნებაზე იყვნენ. დარიც საუცხოვო იდგა. ჟასმინის და ფორთოხლის სურნელება სასიამოვნოდ ეხვეოდა ათასგვარ შესაქცევართა სურნელებას.

უეცრად, მახლობელ ტყიდან ვიწვე ცხენოსანი გამოჩნდა. უცნობი მოხდენილად გადმოხტა ცხენიდან, მდაბლად მიესალმა იქ მყოფთ და ცხენს ბინა მიუჩინა.

მონადიმენი არვის მოელოდნენ, მაგრამ ესპანეთში გამვლელიც ხომ ძვირფასი სტუმარია და მით უმეტეს საქორწინო ნადიმზე. უცნობიც კეთილშობილს ჰგავდა. მის მისაპატიჟებლად თვით მეფე წარმოსდგა. შეიქმნა ჩურჩული სტუმართა შორის. კითხულობდნენ, თუ ვინ იყო უცნობი... სტუმართა შორის მყოფი ანდუჯარის ნოტარიუსი კი საშინლად გაფითრდა. ცდილობდა ამდგარიყო დედოფლის მახლობლად მდგარ სკამიდან—მაგრამ ამაოდ: მუხლები უკეცებოდა. ერთი სტუმართაგანი, რომელზედაც ამბობდნენ, რომ იგი კონტრაბანდას სწყალობსო, უცებ დედოფალს მიუახლოვდა.

— იგი ჟოზე მარიაა,—მოახსენა მან დედოფალს,—მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი ბოროტი განზრახვით არის მოსული. მას ნოტარიუსის [illegible] სჭირს. ახლა როგორ მოვიქ[illegible] ნოტარიუსი სადმე გა[illegible] მაგრამ სულ ერთია ჟ[illegible] იპოვის. შეიპყრათ [illegible] შეშველია მისი [illegible] იქნება. ამასთან მას [illegible] ხანჯალს ხომ ხელიდან [illegible]

— ბ-ნო ნოტარიუსო, [illegible] იმ ადამიანს? შეეკითხა იგი [illegible]რიუსს.

— სრულიად არაფერი...

ამ დროს გაისმა ჩურჩული: ბატონ ნოტარიუსს ნაბრძანები ჰქონდა, იმ წუწურაკის მოსაკლავად მის სახლში შესულ ჟოზე მარიასათვის საწამლავით შეზავებული სასმელი მიეწოდებინათ.

მოულოდნელ სტუმარზე საუბარი გაგრძელდა.

მალე გამოჩნდა უცნობიც, მეფესთან ერთად მომავალი.

ყველასათვის ცხადი იყო, რომ იგი ჟოზე მარიაა.

ჟოზე მარიამ ნოტარიუსს, მის გვერდით ჩავლისას, ლომის თვალით [illegible] დახედა..

ნოტარიუსი ცახც ხმა [illegible]

ჟოზე მარია მოხდ[illegible] პატარძალს და მის [illegible] ნებართვა გამოსთხოვა. [illegible] ურისთქმა არ შეეძლო, [illegible] უკმაყოფილება არ დაიჩნია.

ჟოზე მარია დედოფლის და ნოტარიუსის შუა მოთავსდა. ნოტარიუსი მეტად უხერხულად ჰგრძნობდა თავს. მას გულიც ასდიოდა.

ჟოზე მარია დიდის თავაზით ეპყრობოდა დედოფალს. დედოფალმა აივსო ჭიქა. ცოტა შესვა და შემდგომ ჟოზე მარიას მიაწოდა. ეს დიდი პატივისცემა იყო ჟოზე მარიასადმი. ჟოზე მარიამაც დიდის ალტაცებით ჩამოართვა დედოფალს ჭიქა და საჯაროთ შეჰპირდა, რომ იგი მზად არის გახდეს დედოფლის მსახურად და [illegible] არ დაუშვას მისი ბრძანება.

დედოფალი მოკრძალებით ჩაიხარა მის გვერდით მჯდომ საზარელ მეზობლისაკენ და შემდეგი წასჩურჩულა:

— მიყავით ერთი სიკეთე.

— აბა ინებეთ... შესძახა ჟოზე მარიამ.

— დაიფიცეთ, რომ დაივიწყებთ იმ ბოროტ განზრახვას, რომელიც შესაძლებელია თქვენ გაქვთ. თუ ჩემი პატივისცემა გაქვთ, დამპირდით, რომ აპატიებთ თქვენს მტრებს და ჩემს ქორწილს არ ჩამიშხამებთ.

— ბ-ნო ნოტარიუსო,—მიუბრუნდა ჟოზე მარია გადაფითრებულ ნოტარიუსს, მადლობა უთხარით ქალბატონს, მე თქვენი მოკვლა მსურდა, მაგრამ ახლა ნუღარ გეშინიათ. მე აღარას გერჩით. ამ სიტყვებით მან აავსო ჭიქა, მიაწოდა ნოტარიუსს და ბოროტი ღიმილით დაუყოლა.

— წესით ჩემი სადღეგრძელო.

ღვინო მოწამლული არ არის... ნოტარიუსმა შესვა მაგრამ მისთვის ეს ას ქინძისთავის გადაყლაპვას უდრიდა.

— აბა ბატონებო, სიმხიარულე! გაუმარჯოს დედოფალს!

შეჰყვირა ჟოზე მარიამ, [illegible]

ლად წამოხტა, იპოვა გიტარა და მეფე დედოფლის სადიდებლად სიმღერაც შესძახა.

ჟოზე მარიას სიმღერებმა დამსწრენი აამხიარულა.

ქალებს, იმის ფიქრზე, რომ შესაძლოა ასეთმა მშვენიერმა ყმაწვილმა თავის უკანასკნელი წუთები სახრჩობელაზე დალიოს,—თვალები ცრემლებით აევსოთ.

შუაღამე მოახლოვებული იყო, რომელსაც ძონძებში გახვეული პატარა ქალი მიუახლოვდა ჟოზე მარიას და რაღაც წასჩურჩულა. ჟოზე მარიას გააჟრჟოლა. მან სასწრაფოდ გამოიყვანა ცხენი და დედოფალს მიუახლოვდა.—ნახვამდის ჩემო გულის ვარდო, თქვენს სიახლოვეს გატარებული წუთები არასოდეს არ დამავიწყდება, რადგან ეს წუთები ჩემთვის ესოდენ ძვირფასნი იყვნენ. ინებეთ ჩემგან ეს მცირედი საჩუქარი და მერწმუნეთ, მე რომ ფასდაუდებელი საუნჯე მქონოდა, თქვენთვის არას დავიშურებდი. ამ სიტყვებით ჟოზე მარიამ დედოფალს ლამაზი ბეჭედი გადასცა.

ჟოზე მარიამ, ვიდრე ჩვენს სახლში უკანასკნელი პური მოიპოვება—მისი ნახევარი თქვენ გეკუთვნებათ.

ამხანაგი ყველას გამოემშვიდობა. მოახტა რაშს და მთებში მიიმალა.

უბედურმა ნოტარიუსმა თავისუფლად ამოისუნთქა.

ნახევარ საათის შემდეგ მექორწინეთ ჯარისკაცთა მცირედი რაზმიც მოადგა, მაგრამ არვის ენახა ის კაცი, რომელსაც რაზმი ეძებდა.

ბარბარე ერისთავი.

ნოტე.

რადიო-ჭორის ცნობა.

„ქალაქ“ ზესტაფონის „რადიო-ჭორის“ სადგურმა მიიღო შემდეგი რადიოგრამმა:

ხეფინხევის (უდიდესი სამრეწველო ქალაქია შორაპნის მაზრაში, 10000,000 მუშით) პროლეტარიატმა თავის უკანასკნელ კონგრესზე, გაითვალისწინა რა დღევანდელი მსოფლიო მდგომარეობა და მიიღო რა მხედველობაში, რომ დღეს-ხვალ იფეთქებს მსოფლიო სოციალური რევოლუცია, რომლის ხელმძღვანელობა და დამთავრება უნდა იკისროს საქართველოს პროლეტარიატმა, როგორც კაცობრიობის უფრო შეგნებულმა ნაწილმა, დაადგინა: დაუყოვნებლივ გაიწმინდოს საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ გადმოცემული არა საიმედო პირებისაგან (დარჩებიან მხოლოდ ვოიტინსკები და გერმანი), არა „კაპიტალით“ გაკაპიტალისტებული ბურჟუაზიისაგან და ისეთი პირებისაგანაც, რომელთაც მხოლოდ-და შერჩენიათ გვარი ყოფილი თავად აზნაურობისაგან ვისაც მირონი მიუღია ამ გიაურებისაგან (ჩვენი დემოკრატია რაც უნდა იყოს მაინც ტრადიციის ხალხია). ამისათვის გადასინჯულ უნდა იქმნეს სია ნომერი პირველი და გამორიცხული უნდა იქმნენ იქიდან ყველა ისინი, ვინც მოჰყვებიან ზემო ხსენებულ კატეგორიაში.

ამ რეზოლიუციამ გაუღვიძა მიმქრალი იმედები შორაპნის მაზრის სოციალ-დემოკრატებს, საგრძნობლად გადახარა ის მარცხნივ, აჯამშურისკენ და [illegible] შეუდგა მის განხორციელებას.

მაგრამ დაიწყეს იქიდან, რომ არც ერთ წვრილ ერთეულების სათემო გამგეობაში არ დებულობენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრს, რადგანაც ვითომ მათი გადემოკრატება შეუძლებელია (თურმე „მარტში“ გასოციალისტება შეიძლება და გადემოკრატება კი არა,) თუმცა ეს პარტია ზოგან უმრავლესობას, ზოგან ნახევარს და ზოგან კი მესამედს შეადგენს სათემო საბჭოში და კომიტეტში (რა თქმა უნდა უჯამაგირო ადგილებზე მუშაობას არ უშლიან, რადგანაც ჩვენი სოციალ-დემოკრატები ჯერ კიდევ ფარს ვერ ჰყოფენ დემოკრატიზმსა და პარლამენტარიზმს (მხოლოდ და სიტყვით და არა საქმით).

მთელი მაზრის წვრილი სათემო ერთეულების გამგეობებში სოციალ-დემოკრატებს აურჩევიათ მარტოდ მარტო თავიანთი კანდიდატები, მათ შორის საუკეთესო მცოდნენი მუნიციპალური საქმეებისა, რომელნიც, თურმე, დადიან ქუჩა-ქუჩა და ყოველ გამვლელ-გამომვლელს ეხვეწებიან: ღვთის გულისათვის გვასწავლეთ, რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ და რა შეადგენს ჩვენს კომპეტენცია-მოვალეობასო?

და ხმა შეუწყობლად იძახიან:

„ჩვენ ვართ და ჩვენი ნაბადი
გამთენებელი ღამისა,
ღვინო, დუდუკი ჩვენც გვიყვარს,
მაგრამ კარგი გვაქვს ჭამისა“.

მოქალაქეები კი სრულიად დაიმედებულნი არიან იმაში, რომ ასეთ მეთაურების ხელში შიმშილსა და ანარქიას ადგილი აღარ ექნება მომავალში.

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენი სოციალ-დემოკრატები ხეფინხევის პროლეტარიატზე უფრო წინდახედულნი გამოდგნენ და ზემოხსენებული რევოლუციის ხავსებით განხორციელებას ჯერ-ჯერობით არ აპირებენ, რადგანაც მთავრობის კრიზისის ეშინიათ.

მორიგ საკითხად მაინც დასმულია.

მან-განი.

ჟურნალ „ნაკადული“-ს რედაქციიდან

განსაკუთრებულ მძიმე პირობებში მოხდა „ნაკადულის“ წელს მუშაობა.

ამ 15 წლის განმავლობაში, რაც ჟურნალი არსებობს, რედაქცია არასოდეს არ ყოფილა ისეთ აუტანელ მდგომარეობაში, როგორც წელს. საშინელი სიძვირე, ქაღალდის შოვნის შეუძლებლობა, მოუწყობლობა სტამბების საქმის ყველა დარგში—ესა და კიდევ ბევრი სხვა რედაქციისაგან სრულიად დამოუკიდებელი გარემოება ხელს უშლიდა ჟურნალის წესიერ გამოსვლას და, რასაკვირველია, რედაქციას ფიქრიც კი არ შეეძლო იმაზე, რომ გაეფართოვებინა და გაეუმჯობესებინა ჟურნალი, რაც ისე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საბავშვო გამოცემებისათვის ამ ნაციონალურ სახელმწიფოებრივ აღორძინების წლებში. თუ ამ მიზეზებს კიდევ დაუმატებთ ფოსტის ტრანსპორტის მოუწყობლობას, რის გამო პროვინციაში ხელის მომწერთ არ მისდიოდათ რიგიანათ ჟურნალი, მაშინ ყველასათვის ნათელი იქნება, თუ რა განსაკუთრებულ ცუდ გარემოებაში უხდებოდა წრეულს მუშაობა ჟურნალის ხელმძღვანელთ.

მომავალ 1920 წელს კი ყველა ტეხნიკური დაბრკოლება, რაც ხელს უშლიდა ჟურნალის თავის დროზე გამოცემას, აღარ იქნება.

ჟურნალის გამოცემის საქმეში დიდ მატერიალურ დახმარებას უწევს რედაქციას სახალხო განათლების სამინისტრო, შეძლებას აძლევს დაფაროს ხარჯები და გააფართოვოს ჟურნალის პროგრამაც. რედაქციას მიღებული აქვს ზომები: და იგი ქაღალდით უზრუნველყოფილია, აშორებულია აგრეთვე სტამბის ტეხნიკური მოუწყობლობა (ჟურნალი იბეჭდება ერთ-ერთ საუკეთესო სტამბაში). საჭიროა აღვნიშნოთ ისიც, რომ ფოსტის ტრანსპორტის გაუმჯობესობის გამო ხელის მომწერლებიც თავის დროზე მიიღებენ ჟურნალს.

ყველა ეს გარემოება რედაქციას შეძლებას აძლევს გამოსცემლობის ყოველი ტეხნიკური სიძნელე თავიდან აიშოროს და მომავალ წელს თავის დროზე გამოსცეს ჟურნალი, გააფართოვოს და გააუმჯობესოს შინაარსი ბავშვის აზროვნების ახალი მოთხოვნილების თანახმად; ამას მოითხოვს ცხოვრების ახალი წყობილება და ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი აშენებლობა.

რედაქციამ მოიწვია მუდმივი თანამშრომლები ჟურნალის გასაფართოებლად და ახალი პროგრამის შესამუშავებლად, ასე რომ ჟურნალში მომავალ წელს გვექნება განყოფილება—ყოველთვიური მიმოხილვა მსოფლიო ცხოვრებისა, ხელოვნებისა და მეცნიერებისა, ბავშვისათვის გასაგები ენით გაშუქებული—ევროპისა და აზიის ხალხთა პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ახალი ამბები, შესანიშნავი აღმოჩენები მსოფლიო მეცნიერებისა, ხელოვნებისა და ტეხნიკის დარგებში.

რედაქცია მიიღებს აგრეთვე ზომებს, რომ გააშუქოს ჩვენ მეზობელ ერების ცხოვრების საკითხები; განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული საქართველოს კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრების გაშუქებას.

ახლანდელი ხანა ხალხთა ცხოვრებაში ამ ცხოვრების წყობილების რეფორმისა და აღმშენებლობის დიდებული დროა; ქართველი ხალხიც თავისუფალ სახელმწიფოებრივ და კულტურულ შემოქმედების გზაზე გამოვიდა. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, იმ გარემოებას, რომ ბავშვებმა მიიღონ სწორი პასუხი იმათ აზროვნებაში აღძრულ კითხვებზე, რომ იმათი სული არ მოიშხამოს იმ გამხრწნელ საწამლავისაგან, რომელიც შექმნა ომისა და რევოლიუციით გამოწვეულმა ნგრევამ.

რედაქციამ მიიღო ყოველგვარი ზომა ამ მიზნების მისაღწევად; ამ საქმეში დახმარებას უწევს მას მთავრობაც; მაგრამ ყველაფერი ამაო იქნება, თუ რედაქციას არ დაეხმარება თვით საზოგადოება, თუ მხარს არ მისცემს მას ყველაზე უწინ ჟურნალის გამოწერით; ამიტომ რედაქცია მიმართავს მთელ ქართველ საზოგადოებას დახმარებისთვის.

ყველაზე უწინ ჟურნალის მოწოდება უნდა გამოიჩინონ, რედაქციის აზრით, ის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც ყველაზე ახლოს სდგანან მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმესთან: ერობებმა, ქალაქების თვითმართველობებმა, პედაგოგიურმა საზოგადოებებმა, ჩვენი ქვეყნის ყველა სასწავლებლებმა მათზე დამოკიდებული ყოველი ზომა უნდა მიიღონ ჟურნალის გავრცელების საქმეში; ზომები უნდა მიიღონ აგრეთვე ყველა პედაგოგებმა და საზოგადო მოღვაწეებმა; ყოველ მშობელს უნდა ჰქონდეს ოჯახში თავის შვილებისათვის ჟურნალი. ქართველმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ არ შეიძლება არც ერთ წუთს ბავშვის დატოვება მისი სულიერი მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში მომავალ თაობას მოელის სულიერი გადაგვარება.

რედაქცია სთხოვს საზოგადოებას გამოიწეროს ჟურნალი ახლავე, წლის დასაწყისში, და არა წლის ბოლოს, როგორც ეს ბევრს სჩვევია. მხოლოდ წლის დასაწყისში ჟურნალის ხელისმომწერნი მისცემენ რედაქციას საშუალებას გააფართოვოს და გააუმჯობესოს თავისი გამოცემა.

ქართული ენა სასამართლოში

საქართველომ ბევრი მტერი გადაიკიდა დაწესებულებათა ნაციონალიზაციით, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ვეღირსეთ ქართულ ენაზე საქმის წარმოებას.

სასამართლო, ეს უმთავრესი დაწესებულება, სადაც უნდა გაისმოდეს უზენაესი სამართალი სახელმწიფო ენაზედ, ჯერ კიდევ უმეტეს წილად რუსულ სახეს ატარებს და უცხო ენაზედ საუბრობს.

თბილისის ოლქის სასამართლო ისევ ძველებურ კვალს ადგა და რაც დრო გადის მით უფრო ფრთას შლის უცხო ენის ბატონობა.

ყოველდღე მიწერ-მოწერა, სულ ერთია სოფლის კომისრებთანაც კი რუსულად წარმოებს და საქმეთა გარჩევის ათასში ერთხელ თუ შეხვდებით ქართულ ენაზე, თორემ მუდმივად რუსულ პროცესებს ისმენენ.

ჩვენ გვეტყვიან, რომ არის ძველი საქმეები დარჩენილი, უცხო ენაზედ, მაგრამ უბედურობაც სწორედ იმაშია, რომ ახალი საქმენი მიმდინარეობენ არა ქართულ ენაზე, რადგან მათი საბრალმდებლო ოქმები შედგენილია ჩვენ და საუბედუროდ რუსულად.

ან და რა გასაკვირველია, მოსამსახურეთა კადრი ისეთია უმრავლესობა, რომელთაც არა იციან ქართული ენა და სასამართლოს მმართველნიც მიყუჩებულან, რადგან თუ ამაზე ხმა ამოიღეს, უპირველესად თავის თავზე უნდა დაიხიონ.

აბა განსაჯეთ, რომ სასამართლოს განაგებს ქართულის არა მცოდნე პირი, თუმცა გვარს ქართულს ატარებს და განყოფილებებიც აგრეთვე პირებს აქვთ ჩაბარებული.

სულ მოკლე ხანში მოხდა სასამართლოში შტატების შემცირება და რა გგონიათ? ქართველი მდივნები, ქართული ენის მცოდნე პიროვნებანი დაზარალდნენ და მათ ნაცვლად სასამართლოს თავმჯდომარის პირად მდივნად და სისხლის სამართლის განყოფილების მდივნად რუსები დატოვეს—ეს იმ დროს, როდესაც ქართულის მცოდნე პირები გარედ დარჩნენ.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ამ არანორმალურ მოვლენას მიაქცევდენ ყურადღებას მთავრობა და ბ. ბრალმდებლები და ქართველ ერს ისევ უცხო პირით არ ალაპარაკებდენ თავისივე სახელმწიფოს სასამართლოში.

დროა ეღირსოს [illegible] ენის ბატონობას და უპირატესობას თავისივე კუთხეში.

—**რაჭა.**

რედაქტორი:
„სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი: **თბ. ერ.-დემ. კომიტეტი.**

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკების
გ. გ. მეჯრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ფილტვისა გულისა. იღებს რენტგენის ელექტრ. წამლობის კაბინეთში.. [illegible] წამლობა X-ს სხივებით. პლევრ. ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9 12 ს. და საღ. 5— საათ. ზუბუთოვის ქ. № 28, ტელ. 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძ.
ქიქოლიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და [illegible] ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპურება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნიცა“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—27.

დოქტორი მედიცინისა
მიხე ანთიმოზის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ.-მდე ოლღას ქ. 3. ტელეფონის № 17—21.

ექიმი
შ. ზ ნდუკელი.
მოსკოვის კლინიკის და სანატორიუმის ყოფილი ასისტენტი.
შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს (ელექტრონით წამლობა და ფსიხოთერაპია). იღებს საღ. 5 ს.—6 ს. 9 ანასტასიევის ქუჩა № 13. ტელ. —31 265—25—1

სამკურნალო კაბინეტი
ექ. პ. ტყეშელაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარი სნეულებანი ავადმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა. (606 და 914 წამლობა) მიხეილის სავადმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

სახლები
აგარაკები, მამული, ზღვასთან მდებარე ადგილები, სავაჭროები, ქარხნები შეიძლება იყიდოთ მხოლოდ ინტელიგენტთა ჯგუფების საშუალებით. მიმართეთ ძმა დავითის ქუჩაზე სახ. № 3. ბინა 2. ტელეფონი 2—28. დილის 11—2 ს. საღ. 5—7. 1—1

„პაპის ლეგატის დელფუშეს მისსია და ჩვენი ეკლესიის პოლიტიკა“

(დასასრული)

„პასსივობას და კვიეტიზმს“ გვიკიჟინებენ. გამოდის, რომ „ეკლესიელებს“ უნდა საფრანგეთის სამღვდელოებისავით გამკლავებოდნენ რევოლიუციას, ან არადა გაფიცულიყვნენ რკინის გზების და ქარხნის მუშებივით. ჩვენ უიმედო საქმედ მიგვაჩნია ასეთი სოფლმხედველობის მიმდევარ ადამიანებთან მსჯელობა. ასეთი კაცების ლოღიკას რომ გავყვეთ, ქრისტეც კვიეტისტად უნდა დავსახოთ, რადგანაც ნაცვლად ხმლებისა და ხანჯლებისა ქნევისა იმათ წინააღმდეგ, ვინც მას ჯვარს აცმევდნენ და დასცინოდნენ, ლოცულობდა: „მამაო! მიუტევე ამათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან.“

სიმართლის თქმა ტრაბახი არაა. იმ სასტიკ ბრძოლაში, რომელიც ქართველ ერის ცნობილმა ნაწილმა გამოუცხადა სამღვდელოებას, უკანასკნელმა გამოიჩინა დიდი პოლიტიკური სიმწიფე, რაც დადასტურებულიც არის მოწინააღმდეგეთაგან.

ყოველშემთხვევაში ატეხილ ბრძოლაში არას დროს გულხელდაკრეფილები არა ვმსხდარვართ, ეს დამტკიცდება ბევრი საბუთებით, მაგრამ არას დროს არ მიგვიმართავს ყვირილისა და დემაგოგიისათვის და თუ ამაში გამოიხატება ჩვენი „პასსივობა და კვიეტიზმი“, თანახმა ვართ მივიღოთ ასეთი დახასიათება.

ქართული ეკლესიის არსებობის ისტორია თექვსმეტი საუკუნისაა, მას მრავალი კრიზისები გადუტანია და იმდენი განსაცდელები შეუპოვია, რომ „კატოლიციზმის მოსალოდნელ შემოხვევის გზის“ ფიქრებში არ ნავარდობს.

ვინ გამოიჩინა პაპის ლეგატის მიღებაში „უტაქტობა და შაბლონური მოპყრობა“, „საეკლესიო მოღვაწეებმა“, თუ საერო დიპლომატებმა, ამას მტკიცება აღარ სჭირდება.

„საეკლესიო მოღვაწეებმა“, გაითვალისწინეს რა უცხო ეკლესიის საპატიო წარმომადგენლის მოგზაურობის მნიშვნელობა ჩვენს მამულში, მოიწვიეს მორწმუნე და საქმის მცოდნე საერო და სასულიერო პირები, ითათბირეს საგანზე, გამოიტანეს შესაფერი გადაწყვეტილებანი და ამისდა კვალად გააწყვეს უცხოელ სტუმართან ურთიერთობა. ამიტომ ბაასი „ცოცხალი სიტყვების ვერ მონახვაზე და ხაზის გასმის გაუმეტებლობაზე ჩვენი ღვთის მსახურების იმ იდეალური მომენტისათვის, როდესაც ერთითა პირითა და ერთითა გულითა ვევედრებით ღმერთს ეკლესიათა და ყოველთა ერთობისათვის“, რჩება ჰაერში გამოკიდებულ უნიათო ფრაზეოლოგიად.

ჩვენს ფართო საზოგადოებაში გამეფებულია ფსიქოლოგიური მონობა საკუთარის დამდაბლების და უცხოთა განდიდება.

ეს მონური ფსიქოლოგია ასახული ბ. ი. წერილში: „ჩვენ არა გვაქვს უფლება უარვყოთ კატოლიციზმის უდავო ღირსება; ჩვენ ვერც დავფარავთ რომ კატოლიციზმს თან მოაქვს ერთგვარი კულტურა, რომ იგი იძლევა სასიცოცხლო ძალებს. კატოლიციზმის დიდი კულტურული დამსახურება საქართველოს ისტორიაში აღნიშნა დელფუშესადმი მიმართულ ოფიციალ სიტყვაში ჩვენი რესპუბლიკის თავმჯდომარის ნაცვალმა მინისტრმა ხომერიკმა“. და სხ. მოყვანილი სიტყვები ნახმარია უმთავრესად იმ მიზნით, რომ ხაზი გაესვას უცხოეთიდან შემოტანილ კატოლიციზმს ღირსებას და დაიჩრდილოს შინაური მართლ-მადიდებლობა, ღირსება მოკლებულად წარმოგვიდგეს მშობლიური ეკლესია და გაუფერულდეს დამსახურება წმ. ნინოს მოციქულობისა ქართველი ერის წინაშე.

მაგრამ თვით უცხოელები ასეთი თვალით არ უცქერიან ჩვენს ეკლესიას.

1905 წელს ქ. ქუთაისში კიტა აბაშიძესთან ერთად გვინახულა ცნობილ ემიგრანტმა ვ. ჩერქეზიშვილმა თავისი მეუღლით, რომელიც, თუ არა ვცდები, დანიელი ქალია. საუბარში ქ ნმა ჩერქეზიშვილისამ მომმართა: მე გადმომცეს, რომ ქართველი სამღვდელოება ემზადება კათოლიკობაზე გადასვლის და თუ ეს ცნობა სიმართლეს მოკლებული არ არის, კარგი იყო მღვდელ-მთავრებს მიეღოთ ღონისძიება ამის წინააღმდეგ და თან დაუმატა:—„ამას გეუბნებით მიუხედავად იმისა, რომ თვით მე მტკიცე კატოლიკე ვარო.

ბ. დელფუშეც ნათელი შეხედულებისაა ჩვენს ეკლესიაზე. ერთ საუბრისას მან შეკითხვა მოგვცა: რა აზრისა ხართ ეკლესიაში არღნის ხმარების შესახებო!

ჩვენი პასუხი იყო: მართლ-მადიდებელ ეკლესიაში დიდი ადგილი უჭირავს სამუსიკო წიგნს დავითნს. საიდანაც ვისმენთ; „აქებდით უფალსა ბობღნითა და ხმითა ნესტვისათა, აქებდით მას ფსალმუნითა და ებნითა, აქებდით მას ძნობითა და ორღანოითა, აქებდით წინწილითა კეთილხმითა“ ესენი სულ სამუსიკო იარაღების სახელებია. პრინციპიალურად ჩვენ მომხრე ვართ მუსიკის ხმარების შემოღებისა ეკლესიაში, მაგრამ როცა კათოლიკეთა ეკლესიაში არღნის დაკვრით შესრულებული მღვდელმოქმედება მომისმენია, მუდამ სულიერ ბრძოლაში ჩავარდნილვარ: არღნის ხმას ღვთისაკენ კი არა, ქუჩისა და დუქნისკენ წაუღია გონება და ამიტომ ასეთ მუსიკის შეტანას ღვთის სახლში სასურველად არ ვსთვლით მეთქი.

ვიზიტატორ დელფუშემ დაადასტურა ჩემი ნათქვამი: მეც ბევრი უბერხულობა განვიცადე არღნის დაკვრისაგან ჩემს წირვაზე თბილისში უნდა გითხრათ, რომ პაპის სასახლის კაპელაში მხოლოდ გალობენ და არღანს სრულებით არა ხმარობენო. მე რომ ქაშვეთის ეკლესიის უმფროსი ვყოფილიყავი, არას დროს არღანს არ შევიტანდი მასშიო, რადგანაც ქართული საეკლესიო გალობა იმდენად ჰარმონიული და დიდებული ყოფილა, რომ მას სრულებით არ ესაჭიროება არღნის დახმარებაო. განსაკუთრებით ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია დაკვირვებულ სტუმარზე წირვას და ანდერძის აგებას მისტიური დიადობით და წეს-რიგის რიტმიული მიმდინარეობით.

ასეთ შთაბეჭდილებას იღებენ ქართული წირვა-ლოცვისაგან უცხოეთიდან მოსული განათლებული კათოლიკენი და მართლმადიდებელი ქართველები კი ჩაგვცივიან—თუ დღესვე არღანი არ დაგვიდგავთ ეკლესიაში, თუ შეკვეცილი წირვა-ლოცვა არ შემოიღეთ, თუ მიცვალებული მარსელიოზის სიმღერით არ გაგვასვენებინეთ ახლოს არ გაგეკარებითო!

რითი აიხსნება ეს, თუ არა მონური ფსიქოლოგიით? რათ მივრბივართ ტყეში კუნელის საძებნელად, როდესაც სახლში ტკბილი თურაშაულით სავსე გოდრები გვიდგია? აქ ყურმოჭრილი ყმობა სხვისადმი—მეტი არაფერი!

გვრჩება კიდევ ორი მუხლი. პირველი—აღმოსავლეთ-დასავლეთის ეკლესიათა შეერთება და მეორე—ორთავე ეკლესიების გამოსვლა გაერთიანებული ძალებით მატერიალიზმთან საბრძოლველად.

პირველი იმდენად რთული და ნაზი ბუნების საგანია, რომ არც ერთ მხარეს ოდნავე საბაბიც არ გვქონებია მისი შეხებისა და არც შევხებივართ.

რაც შეეხება სოციალიზმს—მატერიალიზმს, ის მართლა საერთო მტერია ქრისტიანობისა და ქრისტიანული ეკლესიები შეერთებული ძალებით უნდა გამოდიოდნენ მის საწინააღმდეგოდ. სოციალიზმის შესახებაც ბევრი რამ საგულისხმო წარმოსთქვა პაპის ვიზიტატორმა. „სოციალისტები არსებობენ ევროპაშიც, მაგრამ თავიანთი მოქმედებით თანდათან მზიან დღეში ანთებულ ელექტრონის ლამპრებს უფრო ემსგავსებიანო“, დაასურათა ჩემმა მოსაუბრემ.

სხვათა შორის შესანიშნავი ყოფილა მსოფლიო ომი საფრანგეთისთვის, რადგან არმიაში დიდი სულიერი გარდატეხა მომხდარა. იქო, ბრძანა დელფუშემ, ხალხმა შენიშნა, რომ ის რაზმები, რომლებშიაც ოფიცრობა და ჯარისკაცები მორწმუნეები იყვნენ, ყოველთვის იმარჯვებდნენ და გმირობის სასწაულებს იჩენდნენ, ის რაზმები კი, რომლებიც უმთავრესად ათეისტური მიმართულების კაცებიდგან შედგებოდნენ, მუდამ მარცხდებოდნენ და მხდალობით თავებს ირცხვენდნენ. ამ დაკვირვებამ საფრანგეთის არმიაში შეიტანა დიდი ფსიქიური გადატეხა და სამღვდელოება ვეღარ ასცდიოდა ჯარში მოსამსახურეთათვის სარწმუნოებრივი წესების შესრულებასო.

რომ ჩვენი არმია სარწმუნოებას უარს ჰყოფს. ყველამ ვიცით, მაგრამ ვაი თუ ბოლოს სწორეთ ეს ურწმუნო არმია იქცევს იმ მთად, რომლის შესახებაც მთიულს უთქვამს ორივე ფეხები მომჭრა და მომაყრევინა.

ჩვენ ვათავებთ წერილის გარჩევას. ჩვენი მიზანი იყო დაგვენახვებინა მისი მიმართულების სიმრუდე იგი სრულებით იქ და იმაში არ ხედავს საფრთხეს, სადაც ნამდვილად აფარება. არც დელფუშეს მისსია, არც მოსალოდნელი შემოხვევა კატოლიციზმისა, არც სისუსტე ჩვენი ეკლესიის საორგანიზაციო აპარატისა, არც ჩვენი „ეკლესიელების“ უპოლიტიკობა, კვიეტიზმი, პასივიზმი და მისთანები საერთოდ, არც ის, რომ ჩვენს ეკლესიას ჩამოშორდა რუსის სინოდის და მეფის რკინის აბჯარი არასდროს საბედისწეროს არ წარმოადგენს, რომ ამის გამო კაცმა თავი იტეხოს ყარაულებზე ყვირილით და მცველების ძებნით.

პაპის ლეგატი კი არა, ყველა სარწმუნოებათა მოციქულები მობძანდნენ ჩვენს ქვეყანაში. ამითი ჩვენ არა გვევნებარა.

სავალალო ის უკიდურესი უღვთოობაა, რომელსაც დიდი მოწონება აქვს ქართულ საზოგადოებაში სარწმუნოებრივ საკითხების გადაჭრისას.

ამ გვარი მიმართულება, ტერორის ქვეშ აყენებს როგორც მოზარდ თაობას, მშობლებს, ისე საზოგადო მოღვაწეთ და პრესას.

ჩვენ გვწამს, რომ ერი ზნეობის ფუძეს გადამცდარი, ვერავითარ როლს ვერ თამაშობს ისტორიაში. იგი ან იღუპება, ან უბრალო მასალად შედის მეორე ერის ისტორიაში.

ასეთ რწმენიდან გამომდინარეობს ჩვენი „ეკლესიელთა“ პოლიტიკა და ტაქტიკა; ამითი აიხსნება, რომ სამღვდელოება ურყევად სდგას სახარების ნიადაგზე, მუხლს არ უდრეკს მატერიალისტურ სოციალიზმს, ებრძვის მას და შეგნებულად მოუწოდებს თავის სამწყსოს შესაკრებად მამა-პაპათ აღმზრდელ ეკლესიის გარშემო, რომ შეერთებული ძალით დაამსხვრიოს მონობის ჯაჭვები. ჩვენც აქეთკენ მოვუწოდებთ ძვირფასი სამშობლოს დამოუკიდებლობის მოტრფიალეთ და ვთხოვთ ბ. ი. და მის გვარებს ამას მიაქციონ ყურადღება, დაგვეხმარონ, თორემ ჩვენს ეკლესიას, სხვა გზით ვერ აღადგენენ და ბრმა სამსონივით თვითონაც ეკლესიის ნანგრევებ ქვეშ მოჰყვებიან.

„ნაგ“.

სტამბა „ცხოვრება“ გაბაშვილის შესახვევი №4.